

ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული “ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების” (შემდგომში „ხელშეკრულება“) შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გათავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილების / დამატების შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების 30-ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

30. დისტანციური საბანკო მომსახურება (Digital Wallet)

30.1 Digital Wallet-ით მომსახურება გულისხმობს:

30.1.1 TBC Wallet-ის / Apple Pay-ს / Garmin Pay-ს საშუალებით კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად მის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატში და/ან „Garmin“-ის საათში (შემდგომში „ჭკვიანი საათი“) ჩაწერილი (ინსტალირებული) პროგრამული მოდულის/აპლიკაციის (შემდგომში „პროგრამის“) გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:

30.1.1.1 ბანკომატში / პოს ტერმინალში / სწრაფი გადახდის ტერმინალებში (რომელთაც გააჩნიათ უკონტაქტო ტრანზაქციების მხარდაჭერა) ბანკის მიერ წინასწარ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას / თანხის განაღდებას (პლასტიკური ბარათის გამოყენების გარეშე);

30.1.1.2 პროგრამის მეშვეობით განხორციელებული საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას.

30.1.2 Digital Wallet-ის მობილური ტელეფონის აპარატში და/ან ჭკვიან საათში გააქტიურების პროცედურა, პროგრამით სარგებლობისთვის დაწესებული აუცილებელი მოთხოვნები და პროგრამის მოხმარების წესები, დეტალურად არის აღწერილი ბანკის ინტერნეტ-გვერდზე - www.tbcbank.ge განთავსებულ საინფორმაციო მასალაში.

30.1.3 Digital Wallet-ით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.

30.2 კლიენტის იდენტიფიკაცია

30.2.1 კლიენტი საბანკო მომსახურებით (პროგრამით) სარგებლობისთვის ავტორიზაციას ახორციელებს ამ ხელშეკრულების 30.1.2 ქვეპუნქტში მითითებულ ვებგვერდზე განთავსებულ საინფორმაციო მასალაში მოხსენებული პას კოდის ან თითის ანაბეჭდის ან პინ კოდის გამოყენებით.

30.2.2 პას კოდის / თითის ანაბეჭდის / პინ კოდის გამოყენება სავალდებულოა, როგორც პროგრამაში ავტორიზაციისათვის, ასევე რიგ შემთხვევებში, პროგრამის საშუალებით განხორციელებული საბანკო ოპერაციების დასადასტურებლად.

30.2.3 კლიენტი ვალდებულია დაიცვას მის მიერ შექმნილი პას კოდის / პინ კოდის კონფიდენციალობა და არ დაუშვას მისი მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში.

30.2.4 მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის / ჭკვიანი საათის სხვა პირისთვის გადაცემის წინ, კლიენტი ვალდებულია, წაშალოს მობილური ტელეფონის აპარატის / ჭკვიანი საათის მეხსიერებაში ჩაწერილი პროგრამა ან განახორციელოს მისი ანგარიშ(ებ)ის დეაქტივაცია ამავე პროგრამის მეშვეობით.

30.2.5 პას კოდის / პინ კოდის გამჟღავნების ან მობილური ტელეფონის / ჭკვიანი საათის დაკარგვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბანკს სატელეფონო სერვის ცენტრში ნომერზე: +995 32 227 27 27 დარეკვით ან ბანკის ფილიალში ვიზიტით.

30.2.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიზეზით პას კოდი / პინ კოდი ან მობილური ტელეფონი / ჭკვიანი საათი ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგებზე.

30.2.7 ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ პას კოდის / პინ კოდის გამჟღავნების ან ტელეფონის / ჭკვიანი საათის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით) ან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე Digital Wallet-ით მომსახურების შეჩერება (დაბლოკვა) კლიენტის მხრიდან ახალი დავალების მიღებამდე. ზეპირი შეტყობინების შემთხვევაში, კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.